



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი

N 226
22/02/2018

226-02-4-201802221057



სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის განხორციელების პროცესში წედისის ადმინისტრაციულ ერთეულში თამაზ მაისურაძის უფლებამოსილ პირად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 აგვისტოს N153-ე ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონის განხორციელების პროცესში წედისის ადმინისტრაციულ ერთეულში უფლებამოსილ პირად განისაზღვროს თამაზ მაისურაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი წედისის ადმინისტრაციულ ერთეულში;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი